პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 251 (4761)

1972 წ. 20 დეკემბერი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

- ფრენბურთი
- ავტოსპორტი
- ჰოკეი

## უმედლოდ არავინ დარჩენილა

თეირანი, 18 დეკემბერი. თავისუფალ ჭიდაობაში აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში „არიამეჰრის“ თასზე საბჭოთა ათლეტებმა 8 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ხოლო გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ.

ირანელმა მოჭიდავეებმა 5 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. III ადგილზეა ბულგარეთის გუნდი (1 ოქრო, 3-3 ვერცხლი და ბრინჯაო).

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, პაკისტანის, რუმინეთის, მაროკოს, დასავლეთ გერმანიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

პირად ტურნირში საბჭოთა მოჭიდავეთაგან I ადგილებზე გავიდნენ: 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონი, კიეველი ვ. გულიუტკინი (100 კგ-მდე), ლენინგრადელი ვ. ნოვოჟილოვი (82 კგ-მდე) და ორჯონიკიძელი ს. ანდიევი (100 კგ-ს ზევით).

საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე შედგნენ მახაჩყალელი ნ. ნასრულაევი (68 კგ-მდე) და თბილისელი მძიმეწონოსანი ნ. მოდებაძე. III ადგილზეა მახაჩყალელი ა. ნასრულაევი (52 კგ-მდე).

● ბუქარესტი, 18 დეკემბერი. ცსკა-ს ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი განაგრძობს ბრძოლას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალურ ტურნირში. საპასუხო მატჩში მან ადგილობრივი „დინამო“ ისეთივე ანგარიშით დაამარცხა, როგორითაც ამ ერთი კვირის წინ მოსკოვში — 3:0. მოსკოველები მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ და მხოლოდ მეორე პარტიაში მასპინძლებს ცოტა ხნით დაწინაურების საშუალება მისცეს — 8:2. ყველაზე ხანმოკლე პირველი პარტია იყო — სულ 13 წუთს გაგრძელდა.

● ვილნიუსი, 18 დეკემბერი. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მეგობრობის ავტორბოლის მონაწილეებმა ლიტვის გზებზე 2700 კმ გაიარეს. დღეს აქ დამთავრებულ რალიში ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კოლექტივები, მოსკოვის, იჟევსკისა და ტოლიატის ავტომშენებლები მონაწილეობდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს ლიტველმა მრბოლელებმა. კლუბებს შორის გაიმარჯვეს იჟევსკის „პლანეტის“ ავტომობილისტებმა, რომლებიც ასპარეზობდნენ სპეციალური მანქანებით „იჟ-რალი“. ეს ავტომობილები „მოსკვიჩ-412“-ის ბაზაზეა შექმნილი.

● მოსკოვი, 18 დეკემბერი. აქ გრძელდება ჰოკეისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე. დღეს საინტერესო ბრძოლის შემდეგ ფრედ დამთავრდა შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდების მატჩი — 2:2 (2:1, 0:1, 0:0). საბჭოთა ჰოკეისტებმა ფინელებს სძლიეს — 11:3 (6:0, 3:1, 2:2).

● ვაისვასერი (გდრ), 18 დეკემბერი. ადგილობრივი „დინამოს“ ჰოკეისტთა გუნდის გულშემატკივრებს თითქმის ეჭვი არ ეპარებოდათ თანამემამულეთა წარმატებაში — მათ ხომ ამ რამდენიმე დღის წინ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში ანგარიშით 4:2 ჩეხოსლოვაკიაში სძლიეს იიგლავის „დუკლას“. მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა: „დუკლამ“ აქ საუცხოოდ ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც — 3:1. შაიბების თანაფარდობის გამო დაინიშნა 3-3 საჯარიმო დარტყმა. გერმანელებმა ვერც ერთი ვერ გამოიყენეს, სტუმართაგან კი ირჟი ჰოლიკმა ერთი შაიბა გაიტანა და თავისი გუნდი გათამაშების შემდგომ ეტაპზე გაიყვანა.

## ჩვენი [illegible] კორესპონდენტები

### სპორტული კვირა დღე

კვირას, 17 დეკემბერს, საბჭოთა კავშირში ბევრი სპორტული შეჯიბრება ჩატარდა.

ბრატსკში დამთავრდა ორდღიანი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, ერევნისა და ადგილობრივი მოციგავეები. შეჯიბრების დროს მშვენიერი დარი იდგა და სულ 20 გრადუსი ყინვა იყო.

932-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა — 90 მ) ქალთა შორის პირველი იყო სპარტაკელი ნ. ომშევა — 3.24,4. კილომეტრიან დისტანციაზე (სიმაღლეთა სხვაობა — 100 მ) გაიმარჯვა ასევე სპარტაკელმა ს. ხაილოვმა — 3.33,8.

ორადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს „დაუგავის“ სპორტსმენებმა დ. ბრენჩემ და ა. კრიკისმა — 1.37,5.

ვლადივოსტოკის „ლომვეშაპებმა“ ზამთრის საცურაო სეზონი გახსნეს. ამურის ყურე უკვე ყინულითაა დაფარული. სპორტული ნავსადგურის რაიონში კვირას განსაკუთრებით ხალხმრავლობა იყო. სტარტზე სულ სხვადასხვა ასაკის ხალხი გამოვიდა.

უკვე ათ წელზე მეტია არსებობს ვლადივოსტოკში ზამთრის ცურვის საქალაქო სექცია. მარტო წლეულს ამ სექციაში 50 კაცი ჩაეწერა — მეზღვაურები, მეთევზეები, მუშები, ინჟინრები, სტუდენტები.

სიქტივკარის „დინამოს“ სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა კომის ავტონომიური რესპუბლიკის უძლიერეს მოთხილამურეთა და ბულგარეთის ახალგაზრდული გუნდის შეჯიბრება რბოლაში. სარბიელზე გამოვიდნენ, აგრეთვე, ბელორუსიის, ლენინგრადის, კიროვის, ბარნაულისა და კურგანის სპორტსმენები. 10 კილომეტრზე რბოლა მოიგო ევროპის ჩემპიონმა იუნიორთა შორის, სიქტივკარელმა ვ. როჩევმა — 49,44. მას ოდნავ ჩამორჩა ბელორუსიელი ა. ბელონოგოვი — 49,55. III ადგილზეა საერთაშორისო უნივერსიადის ჩემპიონი ი. პრონიცა — 49,57.

ნოვოსიბირსკში ჩატარდა საკავშირო შეჯიბრება სათხილამურო რბოლაში ფინეთის პრეზიდენტ უ. კეკონენის პრიზზე. ასპარეზობის მეორე დღეს სტარტზე 300-მდე სპორტსმენი გამოვიდა.

5-კილომეტრიანი ტრასა სეზონის დამდეგისთვის კარგი შედეგით გაიარა 22 წლის ნოვოსიბირსკელმა ზ. ამოსოვამ, რომელმაც I ადგილი დაისაკუთრა.

საპოროს „თეთრი ოლიმპიადის“ მონაწილემ, სსრ კავშირის თასის მფლობელმა, 25 წლის ნოვოსიბირსკელმა სპორტსმენმა ვ. დოლგანოვმა ყველას აჯობა 15 კმ-ზე შეჯიბრებაში — 44,50. კემეროვოელმა ს. ბაბანოვმა მასთან წუთი და 24 წამი წააგო. III ადგილზეა კემეროვოელი სტუდენტი, პირველთანრიგოსანი ვ. ქურქიი — 46,16.

ერთი წლის შემდეგ ნოვოსიბირსკის არმიელმა მოთხილამურეებმა კვლავ დაიბრუნეს ფინეთის პრეზიდენტის თასი.

რიგაში გაიმართა ცნობილი ლატვიელი მოკრივის არნოლდ კნიზისის ტრადიციული მემორიალი, რომელშიც სსრ კავშირის ქალაქების 74 სპორტსმენი მონაწილეობდა. სარბიელზე გამოვიდნენ, აგრეთვე, ბულგარეთიდან და პოლონეთიდან ჩამოსული სტუმრები.

სერჟანტი ა. კნიზისი გმირული სიკვდილით დაეცა დიდი სამამულო ომის დროს. გმირის სახელობის გარდამავალ თასზე შეჯიბრება ეწყობა მსუბუქ წონაში, სადაც ომამდელ წლებში ბალტიისპირეთის ჩემპიონი გამოდიოდა.

პრიზი ზედიზედ მეორედ მოიპოვა ლენინგრადის ჩემპიონმა, ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. პონომარიოვმა, რომელმაც ფინალში აჯობა მსუბუქ წონაში ლატვიის საუკეთესო მოკრივეს დ. პოზდნიაკოვს.

### ქვიშის ველების დამპყრობნი

ყაზახეთის დედაქალაქში დაბრუნდა სამეცნიერო-სპორტული ექსპედიცია, რომელმაც ფეხით გაიარა ყიზილყუმისა და ყარაყუმის უდაბნოები მარშრუტით ყზილ-ორდა — აშხაბადი. ექსპედიცია მოაწყვეს ალმოსავლეთ ყაზახეთის კომკავშირის საოლქო კომიტეტმა და რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთის „ლენინსკაია სმენას“ რედაქციამ. თერთმეტმა მამაცმა მოგზაურმა (მათ შორის ერთი ქალი იყო) ქვიშის ბილიკებზე 1600 კილომეტრი სულ 46 დღეში გაიარა.

ექსპედიციის მონაწილეებმა შეაგროვეს დიდძალი მასალა, რაც უაღრესად საინტერესოა ფიზიოლოგიური კვლევისთვის. მოგზაურებს რამდენიმეჯერ მოძმე რესპუბლიკების ყაზახეთის, უზბეკეთისა და თურქმენეთის მეცხოველეთა ბინებზე მოუხდათ გავლა. იქ ისინი კითხულობდნენ ლექციებს, ატარებდნენ საუბრებს საბჭოთა ხალხის ურღვევ მეგობრობაზე.

ექსპედიციის წევრებმა არსებითი შესწორებები შეიტანეს ორი უდაბნოს ახალ რუკებზე. ქვიშის ამ თვალუწვდენ სივრცეებში უკვე გაჩნდა მეცხვარეთა დაბები, გაყვანილია გზები, გაზსადენები, თვალს იტაცებს უდაბნოში ადამიანის ხელით დაგუბებული ულამაზესი ცისფერი ტბები.

ალმა-ათა.

საკლესი მოგვითხრობს

### სსრკ 50

### მექაღალდეთა მეთექვსმეტე...

დამთავრდა ენგურქაღალდკომბინატის XVI სპარტაკიადა, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

მძლეოსნობაში გაიმარჯვეს ფართო მოხმარების საგნების საამქროს ფიზკულტურელებმა, კალათბურთში — ავტოკარების პარკის, ფრენბურთში — მუყაოს მკეთებელი ფაბრიკის, ტყვიის სროლაში — საქვაბე საამქროს წარმომადგენლებმა. ფრენბურთელთა ასპარეზობაში ყველას აჯობა ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა.

კომპლექსურ ჩათვლაში I ადგილი დაიკავა ფართო მოხმარების საგნების საამქრომ, II ადგილზეა ქაღალდის ფაბრიკა, III — გოფრირებული ტარის საამქრო.

ქ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

[illegible]
გაზეთი
[illegible]
[illegible]
იყო... 19 45

◆ მიუნხენი, 19 დეკემბერი. აქ გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასების გათამაშებათა კენჭისყრა. ვაჟთა ტურნირში ცსკა II ქვეჯგუფში იასპარეზებს ბუქარესტის „დინამოსთან“, ვარესეს „ინისთან“ (იტალია) და პრაღის „სლავიასთან“ ერთად. პირველ მატჩს მოსკოველები 11 იანვარს ბუქარესტში ჩაატარებენ დინამოელებთან. ორი ქვეჯგუფის საუკეთესო გუნდები მარტის დამლევს გადამწყვეტ მატჩში შეხვდებიან ერთმანეთს. რიგის ტტტ თავის ქვეჯგუფში ორჯერ ეთამაშება პოლონეთის, უნგრეთისა და იტალიის ჩემპიონებს. ვაჟთა ტურნირისგან განსხვავებით, ქალები ქვეჯგუფებში ასპარეზობის შემდეგ ნახევარფინალურ შეხვედრებს გამართავენ, მერე კი ორ უძლიერეს გუნდს თასის ფინალში ორი თამაში მოუწევს — შინ და გარეთ.

[illegible]
გაზეთი
[illegible]
[illegible]
იყო... 19 45



თავისუფალი გაფრენის წამი.

ვ. სტეპანოვის ფოტო.
(„კომსომოლსკაია პრავდა“).

# მითხარი, ვინ არის შენი მწვრთნელი...

## საუბარი სპორტული ეთიკის საკითხებზე

მწვრთნელი სპორტულ სამყაროში ცენტრალური ფიგურა გახლავთ. დაუკვირდით, ხშირად ახალგაზრდა სპორტსმენები ზუსტად ისე იქცევიან, როგორც მათი მასწავლებლები.

მითხარი, ვინ არის შენი მწვრთნელი და გეტყვი, ვინა ხარ შენ.

ამ ბოლო ხანს მწვრთნელები „ჩრდილიდან" გამოვიდნენ. შეჯიბრებების დროს მათ აკვირდება ტელეობიექტივის ცნობისმოყვარე თვალი, ფოტორეპორტიორები ხშირად აღბეჭდავენ ფირზე მათს რეაქციას, მიმოხვრას, მიმიკას... მწვრთნელი გუნდთან, მწვრთნელი სავარჯიშო დარბაზში, მწვრთნელი ყოველდღიურ ცხოვრებაში, შინ თუ გარეთ...

როგორი უნდა იყოს მწვრთნელი, რა თავისებურებები უნდა ჰქონდეს, რით უნდა გამოირჩეოდეს? ამ კითხვებს ერთბაშად ვერ გასცემ პასუხს. ეს არც არის ჩვენი წერილის მიზანი. უბრალოდ, გვინდა ყურადღება გავამახვილოთ მწვრთნელისა და აღსაზრდელის ურთიერთობაზე, ამ ურთიერთობის დადებითს და უარყოფითს ასპექტებზე (იმის მიხედვით, რანაირ გავლენას ახდენს მწვრთნელი მოწაფის მორალურნებელობითი თვისებების გამომუშავებაზე). ჩვენ გიამბობთ სინამდვილეში მომხდარ ამბებზე, ოღონდ ამჯერად გვარებს არ დავასახელებთ. ვფიქრობთ, ასეთი ამბები ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა.

რამდენიმე თვის წინათ ერთ შეჯიბრებას დავესწარი. ერთ-ერთი სპორტსმენი ასპარეზობაზე არ გამოცხადდა. არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით. გუნდს იგი ძალიან სჭირდებოდა. ეს სპორტსმენი კოლექტივის ლიდერი იყო. ხდება ხოლმე ასე. სპორტში პირველი კაცია, ცხოვრებაში — მაჩანჩალა. სპორტსმენმა გუნდს უღალატა! ეს საგანგებო შემთხვევად ჩავთვალე და წერილიც გამოვაქვეყნე, სადაც ძლიერი, მაგრამ უნებისყოფო და უპრინციპო სპორტსმენის საქციელს ვკიცხავდი. რამდენიმე ხნის შემდეგ იმ სპორტსმენს ვესაუბრე. სინდისი ქენჯნიდა, ამბობდა, სწორად არ მოვიქეციო. ვიფიქრე, კრიტიკა სწორად გაუგიამეთქი. რა ვუყოთ, შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ თუ გულწრფელად მოინანიებს და აღიარებს დანაშაულს, ეს მომავალში დაეხმარება.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, სპორტსმენის კრიტიკამ მისი მწვრთნელი ავადმყოფურად გაალიზიანა. იგი ამართლებდა (!) აღსაზრდელის საქციელს და დაუსრულებლად ლაპარაკობდა: სპორტსმენი მუდამ ერთნაირ გუნებაზე ხომ არ არის, აუცილებელი როდია ყველა შეჯიბრებაში გამოვიდესო. ეს მაშინ, როცა სპორტსმენი იცავდა თავისი მშობლიური სასწავლებლის ღირსებას!

იმ შემთხვევის შემდეგ გავიდა კიდევ რამდენიმე თვე. ამჯერად იგივე სპორტსმენი უფრო დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში გამოვიდა. მას ძალიან უნდოდა გამარჯვება, მაგრამ II ადგილი დაიკავა. ეს შეიძლებოდა წარმატებად მიგვეჩნია, მან კი სხვანაირად განსაჯა: საპრიზო ადგილისთვის მიღებული სიგელი დაფხრიწა და გასახდელში მიმოფანტა. ამ შემთხვევას შეესწრნენ მისი მეგობრები, აგრეთვე, ნორჩი სპორტსმენები, რომელთაც მაგალითი გამოცდილი სპორტსმენისგან უნდა აიღონ. რეციდივი! აი, როგორ მიიყვანა განმეორებითს შეცდომამდე აღსაზრდელი მწვრთნელის შემწყნარებლობამ და უსწორო მორალურმა პოზიციამ.

როგორ ფიქრობთ, ყოველივე ამით დამთავრდა? ცოტა ხნის შემდეგ საერთაშორისო შეჯიბრება გაიმართა. იქ ჩვენს ნაცნობ სპორტსმენს პირად ტურნირში ხელი მოეცარა. მეორე დღეს განაწყენებული გუნდურ შეჯიბრებაზე არ გამოცხადდა! ასპარეზობის ორგანიზატორებმა და მწვრთნელებმა მკაცრად გაკიცხეს სპორტსმენის საქციელი. იქვე იყო იმ ჩვენი ნაცნობის მწვრთნელიც, რომელიც თავჩაქინდრული ისმენდა სამართლიან კრიტიკას. ფიქრობდა თუ არა იგი იმ წუთში, რომ მისი აღზრდილის უღირს საქციელში მნიშვნელოვანი როლი თვითონაც ითამაშა? რომ აღზრდილი „წაახალისა" არა ერთი და ორი უსწორო ნაბიჯის გადასადგმელად?

ერთმა მოზარდმა დააპირა სპორტსმენი გამხდარიყო. საამისოდ ყველა მონაცემი ჰქონდა. ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი მალე დააწინაურა ცნობილმა მწვრთნელმა. მან ასწავლა სპორტული ანბანი, გამოიყვანა პირველ შეჯიბრებებში. და მაშინ, როცა მწვრთნელისა და მოწაფის თანამშრომლობას საუცხოო ნაყოფი უნდა გამოეღო, მოწაფემ ზურგი აქცია მწვრთნელს, უმნიშვნელო უსიამოვნება მოიმიზეზა და სხვასთან ირჩია ვარჯიში. ახალმა მწვრთნელმა კარგად იცოდა თავისი საქმე: დაიახლოვა მოწაფე, ამბობენ, თვალში რომ ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდაო. მისი ხელმძღვანელობით სპორტსმენმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი. მასწავლებელი, რა თქმა უნდა, სიხარულით ცას ეწეოდა. მოწაფის წყალობით მან დიდი ავტორიტეტი მოიპოვა სპორტულ სამყაროში. მოულოდნელად სპორტსმენს ფათერაკი შეემთხვა: მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში აღმოჩნდა. ექიმებმა დაასკვნეს, რომ სპორტისთვის იგი სამუდამოდ დაიკარგა. როგორ მოიქცა მწვრთნელი? მისი ურთიერთობა მოწაფესთან ერთბაშად გაცივდა და ხაზგასმით ოფიციალური გახდა. მან, უბრალოდ, დაივიწყა აღზრდილი, ვინაიდან მისგან აღარაფერს გამოელოდა. თურმე მისი „კეთილი" გული მომხვეჭელობითა და პატივმოყვარეობით ყოფილა აღვსილი.

ავადმყოფობის დროს სპორტსმენს საშუალება ჰქონდა ერთმანეთისთვის შეედარებინა ძველი და ახალი მწვრთნელის დამოკიდებულება მისდამი. არც ძველ მასწავლებელს ჰქონდა მოწაფის გამოჯანმრთელების იმედი, მაგრამ მაინც ხშირად აკითხავდა, ამხნევებდა. სპორტსმენი გამოჯანმრთელდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან კვლავ დაიწყო ვარჯიში, რა თქმა უნდა, პირველი მწვრთნელის ხელმძღვანელობით. მისი გვარი ისევ გამოჩნდა შეჯიბრებების პრიზიორთა შორის. ამ დიდ სიხარულს ერთად იზიარებდნენ მამასავით მოსიყვარულე მწვრთნელი და მისი „ძე შეცდომილი".

ეს გამოგონილი ამბავი არ არის, სინამდვილეში მოხდა. საბედნიეროდ, მოწაფეს გამოუჩნდა პატრონი, მაგრამ მუდამ ხომ არ ხდება ასე. და მაშინ რჩება გაწბილების გრძნობა, უიმედობა, ხშირად აპათიური მდგომარეობა. აი, რატომ ვამბობთ, რომ მწვრთნელი მეორე მშობელია და ისევე უნდა მოეთხოვოს პასუხი, როგორც ნამდვილ მშობელს.

დიახ, მწვრთნელს ბევრი რამ, თითქმის ყველაფერი შეუძლია. მე და ჩემმა მეგობრებმა უკვე დავტოვეთ სპორტული სარბიელი, მაგრამ დღემდე პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით ვიგონებთ მწვრთნელებს, რომლებმაც უაღრესად დადებითი გავლენა მოახდინეს ჩვენს აღზრდაზე არა მარტო სპორტში, არამედ, საზოგადოდ, ცხოვრებაში.

ასეთი აღმზრდელების გარეშე სპორტი საერთოდ ვერ იარსებებდა. მე მინდა გიამბოთ ერთ-ერთ ასეთ მწვრთნელზე. ის იყო ტანმაღალი, ცისფერთვალა, ხმელი-ხმელი მოხუცი. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვახსოვს მისი ახალგაზრდობა. თუმცა, მოხუცი არასდროს ყოფილა. მან კარგად იცოდა, რომ მწვრთნელს დაბერების უფლება არა აქვს. იქნებ ამიტომაც სავარჯიშო დარბაზის მიღმა უერთდებოდა ჩვენს ახალგაზრდულ მისწრაფებებს. ეს ურთიერთობა გრძელდებოდა მის მყუდრო ბინაში, რომელიც სავსე იყო წიგნებით. გვიანამდე ვკამათობდით, ვმსჯელობდით. გვირჩევდა რა წაგვეკითხა, რა დაგვეთვალიერებინა. იგი ამბობდა: სპორტსმენი, გარდა სხეულისა, სულითაც ლამაზი ადამიანი უნდა იყოსო, აი, ეს არის სპორტის დედააზრიო. იგი ხმამაღლა არ ლაპარაკობდა, მაგრამ, როცა შეცდომებზე მიგვითითებდა, ჩვენთვის ყოველივე დღესავით ნათელი იყო. ასეთი დარჩა იგი ჩვენს მახსოვრობაში.

მახსენდება ერთი ამბავიც: რესპუბლიკის ნაკრების ერთ-ერთმა წამყვანმა წევრმა უხეშად დაარღვია სპორტული რეჟიმი: საკავშირო შეჯიბრებებისთვის მზადების პერიოდში, ზღვისპირა ქალაქში ვარჯიშზე ყოფნის დროს, მთვრალი გამოცხადდა მეცადინეობაზე. ზოგიერთებმა ამ ფაქტს „ფილოსოფიურად" შეხედეს: აქაოდა, ეს სპორტსმენი გვჭირდება, დღესდღეობით შემცვლელი არავინ ჰყავსო. ასეთი არგუმენტით უნდოდათ ეპატიებინათ საქციელი, რომელიც ცუდი მაგალითი იქნებოდა გუნდის სხვა წევრებისთვისაც. პირველი, ვინც სპორტსმენის დასჯა მოითხოვა, იყო მისი მწვრთნელი. მან თბილისში გაისტუმრა „ალკოჰოლის მეგობარი". შემდეგ კი ყველაფერი გააკეთა მისი სამაგალითოდ დასჯისთვის. სპორტსმენი კარგა ხნით ჩამოშორდა სარბიელს, მაგრამ მწვრთნელს არ დაუშლია მისთვის ვარჯიში. პირიქით, მონდომება გააათკეცა. როცა აღსაზრდელს კვლავ მიეცა შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება, აღმოჩნდა, რომ დისკვალიფიკაციას ოდნავაც არ მოუხდენია გავლენა მის სპორტულ ფორმაზე. სამაგიეროდ, ამ დღიდან კარგი მწვრთნელის მოწაფე სპორტშიც და ცხოვრებაშიც ერთ-ერთ სამაგალითო ადამიანად იქცა.

მწვრთნელი სპორტულ სამყაროში ცენტრალური ფიგურაა. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. მითხარი, ვინ არის შენი მწვრთნელი და გეტყვი, ვინა ხარ შენ.

**ა. გოგელია,**
**სპორტის ოსტატი.**



მწვრთნელის ფიქრები.

ა. საკოვის ფოტო.

## ფრიალებენ აფრები

ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია პირველობა აფროსნობაში. შეჯიბრებაში, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა, ტუაფსეს ნაკრებიც გამოდიოდა.

„მფრინავი ჰოლანდიელის" კლასში I და II ადგილები ბათუმელმა სპორტსმენებმა ვ. კალფამ და ა. მელქონიანმა დაისაკუთრეს. III ადგილზეა ვ. გორბატიუკი (ტუაფსე).

„ფინის" კლასის იახტებით პირველობა მოიპოვა ვ. პაშკოვსკიმ (ბათუმი). მომდევნო ადგილებზე არიან ო. გრიბანოვი და ვ. ვარფოლომეევი (ორივე — ტუაფსე).

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბათუმის მე-2 ქართული საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე ნ. დოლიძე. ბავშვთა კლასის ნავებით („ოპტიმისტი") მან ხუთივე რბოლა მოიგო.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

## [illegible]

**ზესტაფონი**

ქალაქის მე-2 საშუალო სკოლის ფიზკულტურის კოლექტივმა მოაწყო ორდღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ზესტაფონი — ტაბაკონის ტაძარი — მაყვლარიანის მთა — სოფელი საკრაულა — ზესტაფონი. ლაშქრობაში 210 კაცი მონაწილეობდა, მათ სროლაში მშდ კომპლექსის ნორმატივები ჩააბარეს.

**ა. განუგრავა.**

**ლაგოდეხი**

ჩატარდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელიც გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა V რაიონული სპარტაკიადის პროგრამით (სპარტაკიადა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება). შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რაიონის საშუალო სკოლების გუნდები. გაიმარჯვეს ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა (თ. წიქარიძე, ვ. ლვინიაშვილი, მ. შუბითიძე). II ადგილი ხვდათ ლაგოდეხის მ. კალინინის სახელობის სკოლის (ი. და ა. დანელიანები, გ. ოგანეზოვი) მოჭადრაკეებს, ხოლო III — ნინიგორის სკოლის (ლ. თენოშვილი, თ. ტალახაძე, ვ. ვალიევი) წარმომადგენლებს.

**ჯ. ჯიბლაძე,**
ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი.

• • •

დამთავრდა რაიონული გაზეთის „გამარჯვების დროშის" თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ლაგოდეხის საკონსერვო ქარხნისა და სპორტსკოლის გუნდები. საინტერესო თამაში მეკონსერვეებმა მოიგეს — 4:1.

**ი. ჯავახიშვილი.**

**ცხაკაია**

დამთავრდა რაიონის მცირერიცხოვანი ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადა, რომელშიც 10 ორგანიზაცია მონაწილეობდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ნაკრებმა. ამ საწარმოს წარმომადგენლები პირველნი იყვნენ ფრენბურთში, მძლეოსნობაში, ველოსპორტში, ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში და ჭადრაკში. II ადგილზეა რაიკოოპერატივის გუნდი, III — სატვირთო ავტოსატრანსპორტო კონტორის კოლექტივი.

**ე. გუგუნავა.**

**ადიგენი**

რაიონის მასწავლებელთა საჭადრაკო ტურნირში რვაწლიანი და საშუალო სკოლების 32 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა სოფელ არალის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ი. მაისურაძემ. II ადგილი დაიკავა განათლების განყოფილების გამგემ რ. ქაფიანიძემ, III—სოფელ ზარზმის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ო. გავაშელმა.

**ნ. მამულაშვილი,**
სპორტსკოლის დირექტორი.

**ორჯონიკიძე**

მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში ექვს თვეზე მეტია მიმდინარეობს მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება, რომელშიც 130 კაცი ჩაება. დღეისთვის ოქროს სამკერდე ნიშანზე ნორმატივები ოთხმა კაცმა შეასრულა, ვერცხლის სამკერდე ნიშანზე — ათმა.

**ა. მაღრაძე,**
ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტი.

**აბაშა**

კოლმეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებათა 13 საფეხბურთო კოლექტივი მონაწილეობდა თასის რაიონულ გათამაშებაში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ აბაშის ჩაის ფაბრიკისა და გეზათის კოლმეურნეობის გუნდები. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს აბაშელებმა — 2:1.

**რ. ჭანტურია.**

# „სპორტლოტოს" მოყვარულთა საყურადღებოდ!

აი, როგორ განაწილდა მოსაგები ფონდი „სპორტლოტოს" 34-ე ტირაჟისა, რომელიც ყაზანში მოეწყო:

ჩვენს რესპუბლიკაში ექვსმა კაცმა გამოიცნო სპორტის 5-5 სახეობა. თითოეულს 2861 მანეთი ელის. საქართველოს ზონალურ სამმართველოში 154 ბილეთი შემოვიდა 4-4 სწორად გადახაზული ციფრით. მათი პატრონები 57-57 მანეთს მიიღებენ. 2913 კაცმა 3-3 მანეთი მოიგო.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 33-ე ტირაჟში 5 სახეობის სწორად ამოცნობისთვის დანიშნული იყო მაქსიმალური მოგება — 5000 მანეთი. ეს თანხა მოიგო მახარაძის რაიონის სოფელ მერიის კოლმეურნემ ა. არობელიძემ.

იანვრიდან გაიყიდება „სპორტლოტოს" ახალი ნიმუშის ბილეთები. ძირითადად შეიცვალა ბილეთების გარეგნული სახე, თუ შეიძლება ითქვას, უფრო მოხდენილი და ელეგანტური გახდა.

ერთჯერადი ბილეთის „A" ნაწილს ექვსი უჯრედი აქვს, რომლებშიც ციფრები იწერება სპორტის სახეობები ბილეთის უკანა მხარეზეა დაწერილი. ეს ბევრად უფრო მოხერხებულია მოთამაშეებისთვის. ასეთივეა ერთთვიანი ბილეთებიც (იხ. ქვედა სურათი).

ახალი ნიმუშის ერთთვიანი ბილეთები უკვე იყიდება, ხოლო ერთჯერადი შეგიძლიათ შეიძინოთ „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში და საზოგადოებრივ გამვრცელებლებთან 1 იანვრიდან.

ი. ლოპატკინი,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.







## სსრ კავშირის პირველობა

# ძნელი მეტოქე და დამსახურებული ქულა



### უმაღლესი ლიგა

გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდა ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოსწინა ტურის მატჩები.

ცსკა — „დინამო" (მოსკოვი) 85:75 (43:31). არმიელმა კალათბურთელებმა თავიდანვე მოუსპეს მეტოქეს წარმატების იმედი, ხოლო როცა მოედანზე ს. ბელოვი გამოვიდა, ცხადი გახდა, რომ დინამოელებს ყველაზე მეტად მისი ნეიტრალიზება გაუჭირდებოდათ. ბელოვმა კვლავ გაგვაოცა სროლის სიზუსტით და კომბინაციური თამაშის უნარით. სწორედ ის და კიდევ ახალგაზრდა თავდამსხმელი პეტრაკოვი ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს მეტოქის მოედანზე და წარმატებით ამთავრებდნენ პარტნიორთა შეტევებს. ბელოვის ღვაწლი ამ მატჩში 29 ქულას შეადგენს, პეტრაკოვისა კი 17-ს. ორივემ ერთად თავის კოლექტივს ქულების ნახევარზე მეტი შესძინა.

დინამოელთა შედეგებს აკლდა სიმწყობრე და დამაჯერებლობა. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ბოლოშევის უფერული თამაში იყო. ამ ნიჭიერმა კალათბურთელმა მხოლოდ ხუთჯერ ისროლა ზუსტად კალათში და ერთხელაც ჯარიმა გამოიყენა, 5 პერსონალური შენიშვნა მიიღო და ვადამდე დატოვა მოედანი. დინამოელთა რიგებში ბოლომდე თავგამოდებით იბრძოდა მხოლოდ სიდიაკინი (24 ქულა), მაგრამ მარტო იგი, რა თქმა უნდა, ვერაფერს გახდებოდა.

„დინამო" (თბილისი) — „კალევი" (ტარტუ) 73:64 (35:34). „კალევის" წინააღმდეგ თამაში მუდამ ძნელია, თუ შემადგენლობაში არ გყავს თუნდაც ერთი მკვეთრად გამოხატული ცენტრალური თავდამსხმელი. ცსკა-ში, ლენინგრადის „სპარტაკში" ან კიევის „სტროიტელში" ეს პრობლემა მოგვარებულია. წაართმევ „კალევს" საჰაერო სივრცეს, დაიპყრობ ფარის მისადგომებს და ნახევარი საქმე გაკეთებულია. სხვა მხრივ ძნელია ესტონელთა თამაშს რაიმე ნაკლი მოუძებნო.

დღევანდელი თბილისის „დინამო" და „კალევი" სიმაღლის მხრივ დაახლოებით თანაბარ პირობებში არიან. ორივე გუნდს ფარქვეშ ბრძოლის ერთნაირი საშუალებები აქვს, მაგრამ გუშინწინდელ შეხვედრაში ესტონელები თავიანთი ერთადერთი იმედის გარეშე დარჩნენ: წინადღით დაშავებულმა ლიპსომ ადგილი ილვესს დაუთმო, თვითონ კი სათადარიგოთა სკამზე დაჯდა იმ ვარაუდით, რომ მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში გამოსულიყო სათამაშოდ.

ეს საგანგებო შემთხვევა სულ მალე მოხდა. ილვესმა მე-4 წუთისთვის სამი ჯარიმა მიიღო და მწვრთნელებმა მდგომარეობის გამოსწორება ლიპსოს გამოყვანით სცადეს. მე-8 წუთისთვის ანგარიში გათანაბრდა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი „დინამო" დაწინაურდა. მართალია, პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს, მაგრამ მატჩის საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ესტონელებმა სალუმეტსისა და ლიპსოს წყალობით ხელთ იგდეს ინიციატივა და 6 ქულით დაწინაურდნენ. აი, სწორედ ამ მომენტში თავი გამოიჩინა ჩხიკვაძემ, რომლის სწრაფმა სოლო გასვლებმა დაბნეულობა შეიტანა მეტოქის დაცვაში. ჩხიკვაძის მაგალითი გადამდები გამოდგა: „დინამო" მთელი ძალით ამოქმედდა და „კალევის" ფარის დასალაშქრად დაიძრა.

ეს იყო გადამწყვეტი შტურმის დასაწყისი. ამ „მიკროაფეთქებაში" დინამოელთა მთელი ხუთეული მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ქორქიას, საკანდელიძეს, სხიერელს მაქსიმალურად შებოჭილი ჰყავდათ „კალევის" დაცვა. ესტონელები მხოლოდ საკუთარი ფარის უსაფრთხოებისთვის ზრუნავდნენ, მეტ დროს უკანა ხაზზე ატარებდნენ. მათი შეტევის მექანიზმი ამკარად მოიშალა და ბრძოლის ბედიც ფაქტიურად გადაწყდა.

„კალევმა" ადრე იგრძნო მარცხის მოახლოება და ბედს შეურიგდა. ამიტომაც მატჩის ბოლო წუთებს მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის დინამოელებმა მეტად საჭირო ქულა აიღეს, მაგრამ ამჯერად ეს როდია ძირითადი. მთავარი ისაა, რომ ახლანდელი „დინამო" საკმაოდ ბრძოლისუნარიანი და მონოლითური კოლექტივია, რომელსაც ზურგს უმაგრებს გრძელი და დაახლოებით თანაბარძალოვანი სკამი. გუნდის მწვრთნელებმა ო. ქორქიამ და ლ. მოსეშვილმა, როგორც ჩანს, წარმატებით გადაჭრეს შემადგენლობის სტაბილიზაციის საკითხი. ახლა საჭიროა თამაშის სტილის გამოკვეთა. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივაც შეიმჩნევა ლტოლვა მწვავე, სწრაფი და კომბინაციური თამაშისკენ. „დინამოს" ახლანდელ შემადგენლობას თამამად შესწევს ამის უნარი.

ნ. გუგუშვილი.

### გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლო მატჩები: მათი შედეგები ასეთია: „კალევი" (ტარტუ) — „დინამო" (მოსკოვი) 46:64 (25:38), „დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი) 68:59 (36:32).

• •

### გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის პირველ გვერდზე კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი კლიშეს წარწერა უნდა იკითხებოდეს ასე: ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისის „დინამოსა" და ცსკა-ს შეხვედრის მომენტი.

## წაუგებლად

კაუნასი, 18 დეკემბერი. ადგილობრივმა „ჟალგირისმა" თავის მოედანზე ოთხივე თამაში მოიგო და მე-40 ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. კაუნასელთა ეს წარმატება უმთავრესად „გრძელმა სკამმა" განაპირობა.

სამ კოლექტივს — ლენინგრადის „სპარტაკს", კიევის ასკ-ს და „სტროიტელს" 2-2 ქულა აქვთ. „სტროიტელის" შემადგენლობაში ყურადღება მიიპყრო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ა. სალნიკოვმა. ამ ახალბედამ ორ შეხვედრაში ზედ ბოლო წამებზე იხსნა თავისი კოლექტივი მარცხისგან და ჯილდოდ მიიღო ტურის ორი პრიზი: საუკეთესო დებიუტანტისა და საჯარიმო სროლების სიზუსტისთვის (26 შესაძლებლიდან 24). „მინი-ტურნირის" უძლიერესი სნაიპერია „ჟალგირისის" კაპიტანი მ. პაულაუსკასი (ოთხ მატჩში 103 ქულა).

— იმედი მაქვს, — განაცხადა ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ „ჟალგირისის" მწვრთნელმა ვ. ბიმბამ, — რომ ეს პირველობა, წინა ჩემპიონატებისგან განსხვავებით, რვა „სტატისტისა" და ორი „მთავარი გმირის" ბრძოლა არ იქნება. (საკდესი).

• • •

გთავაზობთ კაუნასის ტურის საბოლოო შედეგებს:

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ჟალგირისი" | 4 | 0 | 332—289 | 4 |
| „სპარტაკი" (ლ.) | 2 | 2 | 276—259 | 2 |
| „სტროიტელი" | 2 | 2 | 287—291 | 2 |
| ასკ (კ.) | 2 | 2 | 238—267 | 2 |
| „სპარტაკი" (ვ.) | 0 | 4 | 282—309 | 0 |

## შაშის სამყაროში

### ამსტერდამში, მსოფლიო პირველობაზე...

გუშინწინ ამსტერდამში გაიხსნა ასუჯრიან შაშში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობა. საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობენ ოსტატები — დონეცკელი ნ. მიშჩანსკი და თბილისელი ბ. შავერდიანი.

### მეტოქის დაუნახავად

1 ივნისიდან მიმდინარეობს ასუჯრიანი შაშის მიწერ-მოწერით თამაშში V საკავშირო ჩემპიონატის ფინალი, რომელშიც 21 კაცი მონაწილეობს. ტურნირში პირველად თამაშობს საქართველოს წარმომადგენელი — ოსტატობის კანდიდატი ვ. ინწკირველი (თბილისი). ეს უფლება მან ნახევარფინალში (1969-1971 წ.წ.) გამარჯვებით მოიპოვა.

ჩემპიონატი 1974 წელს დამთავრდება.

## ერთი ზედმეტია

ბაქოში მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი, XXI ტურის წინ მხოლოდ ორი პარტია იყო დაუმთავრებელი. გუშინწინ ეს პარტიებიც დამთავრდა: თბილისელმა დიდოსტატმა ე. გუფელდმა სძლია თავის მოსკოველ კოლეგას ე. ვასიუკოვს, რომელმაც ამ წაგებით მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მოხვედრის შანსი დაკარგა. ი. ბალაშოვი და ი. რაზუვაევი (ორივე — მოსკოვი) ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ჩემპიონატის დამამთავრებელმა ტურმა უნდა დაასახელოს მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირის სამი მონაწილე. ამ სამეულში მოხვედრის შანსი მხოლოდ ოთხ მოჭადრაკეს აქვს: დიდოსტატებს, სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონს მ. სავონს (ხარკოვი), ვ. ტუკმაკოვს (ოდესა), ოსტატ მ. მუხინს (ალმა-ათა) — 12-12 ქულა, საერთაშორისო ოსტატ გ. კუზმინს (ვოროშილოვგრადი) — 11,5.

### ჭადრაკი

# ვფურცლავთ სპორტულ გაზეთებს

## ბრუკლინი დაფასდა

ნიუ იორკის მერი ჯონ ლინდსეი დიდხანს ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, შეხვდა ფიშერს. დახურულ კარებში გამართული მოკლე საუბრის მერე მოეწყო საზეიმო შეხვედრა. მსოფლიო ჩემპიონს გადასცეს „ნიუ იორკის ოქროს მედალი", რომელიც სპეციალურად ფიშერის პატივსაცემად მოჭრეს. ბობიმ აქაც არ უღალატა თავის ჩვევებს: მოითხოვა, რომ მუნიციპალიტეტის დარბაზში საზეიმო ცერემონიის დროს არც ჟურნალისტები ყოფილიყვნენ, არც სატელევიზიო კამერები დაედგათ. „სიტყვა ცოტა უნდა იყოს და თანაც მოკლე", — განაცხადა მან.

სურვილი შეუსრულეს. ბრუკლინის (ნიუ იორკის ნაწილი, სადაც ფიშერი გაიზარდა) მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ მოკლე სიტყვა წარმოთქვა და ფიშერს „ბრუკლინის გენიოსი" უწოდა.

„აქამდე მანჰატენში (ნიუ იორკის ცენტრალურ ნაწილში) ბრუკლინს ძირითადად მისი განთქმული განგსტერებით იცნობდნენ,—თქვა თავმჯდომარემ.—მე ბედნიერი ვარ, რომ ბობიმ დაარღვია ეს ტრადიცია..."

ჩემპიონისთვის მედლის გადაცემის დღეს ნიუ იორკში ოფიციალურად ეწოდა „ბობი ფიშერის დღე".

ვაშინგტონის უმაღლესი წრეები კი ამაოდ ელიან ჩემპიონს. „პრეზიდენტის მიწვევა უცვლელი რჩება. ახლა ყველაფერი მისტერ ფიშერზეა დამოკიდებული", — საცოდავად გაასავსავა ხელები თეთრი სახლის პრეს-მდივანმა ზიგლერმა, როცა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ფიშერი როდის ჩამოვაო.

ვაშინგტონიდან მრავალრიცხოვანი მიწვევების უარყოფის დროს ფიშერი ჩვეულებრივ აცხადებს, რომ მეტისმეტად დაკავებულია.

## დილიდან საღამომდე

ფიშერი დილიდან საღამომდე დაკავებულია ჭადრაკით და სპორტის იმ სახეობებით, რომლებიც თავისთვის აუცილებლად მიაჩნია. ესაა კრივი, ტანვარჯიში, ცურვა, ჩოგბურთი და ველოსპორტი. იუგოსლაველმა დიდოსტატმა გლიგორიჩმა ჩემპიონს თავისი წიგნის პირველი კორექტურა გაუგზავნა. ამ წიგნში გლიგორიჩი ხაზს უსვამს, რომ სპასკისთან მატჩში ფიშერი ბევრისთვის მოულოდნელად ძალიან ღრმა ფსიქოლოგად მოგვევლინა. როცა სამი ქულის უპირატესობას მიაღწია, მან შეძლო „ახლოდან ბრძოლის" მსურველი სპასკისთვის მდორე, მანევრული თამაში მოეხვია თავს. ეს დიდ მოთმინებას მოითხოვს და გამომფიტველია იმ მხარისთვის, ვინც ანგარიშის გათანაბრებისკენ მიისწრაფვის. ამ სტრატეგიის გვირგვინად გლიგორიჩს მატჩის ბოლო, 21-ე პარტია მიაჩნია.

## პოლემიკა ეივესთან

ფიდე-ს პრეზიდენტი ეივე ვალდებულია ახლავე იფიქროს მსოფლიო პირველობის შემდეგ მატჩზე. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში მან ასეთ დიპლომატიას მიმართა: „თუ ფიშერს უნდა მატჩები ყოველწლიურად ითამაშოს, ეს მისი პირადი საქმეა. მაგრამ 1975 წელს იგი (ან მასთან მატჩის მომგები) ვალდებული იქნება ითამაშოს მორიგი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფიდე-ს ეგიდით. ყოველწლიური მატჩების ფინანსური პირობები ასევე ფიშერის საქმეა, მაგრამ მომავალი კალენდარული მატჩის საპრიზო ფონდი 40 ათას შვეიცარიულ ფრანკს არ უნდა აღემატებოდეს.

ამ განცხადებას რომ გაეცნო, ფიშერმა ჯერ ის იკითხა, რამდენია 40 ათასი შვეიცარიული ფრანკი დოლარებითო. როცა გაიგო, რომ ეს თანხა ცოტათი აღემატება 10 ათას დოლარს, ცივად შენიშნა: „დოქტორი ეივე ცდება, თუ ჰგონია, რომ მე ფილანთროპიულად მოვეკიდები მატჩის ორგანიზატორებს".

## ვინ არის შემდეგი?

ფიშერ — სპასკის მატჩ-რევანშის პროექტები ჯერჯერობით საქმედ არ ქცეულა. დღესდღეობით ასე თუ ისე რეალურია მხოლოდ ფიშერ—მეკინგის ამხანაგური მატჩის იდეა. შეხვედრა დაგეგმილია მომავალი წლის მარტისთვის რიო-დე-ჟანეიროში. ნავარაუდევია სულ ოთხი პარტიის გამართვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფიშერი და მეკინგი დღემდე სულ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ორივეჯერ მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში. 1967 წელს სუსის შეჯიბრებაში მეკინგმა, რომელიც მაშინ ოსტატი იყო, სენსაციურ ყაიმს მიაღწია მრისხანე მეტოქესთან. 1970 წელს პალმა-დე-მალიორკაში შეხვედრა მოიგო ფიშერმა. თუმცა მატჩი რიო-დე-ჟანეიროში ორგანიზატორებს მეტად ძვირი (200 ათასი დოლარი) უჯდებათ, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მეკინგი რაიმე წარმატების შემთხვევაში უკვე ოფიციალური მატჩისთვის დაიწყებს ზრუნვას. იგი არც მალავს, რომ ძალიან სერიოზულად მეცადინეობს (დღეში 8 საათს). მეკინგი არც ისე კარგად იცნობდა საჭადრაკო თეორიას და ახლა აპირებს ამ ნაკლის გამოსწორებას.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 224, 226, 229, 231, 233, 235, 239, 242, 246, 247.

# ცისფერ ბილიკებზე

## ავსტრალიური ზაფხულის სტარტზე

ავსტრალიელმა მოცურავეებმა სიდნეის 50-მეტრიან აუზში გამართეს მორიგი შეჯიბრება, რომელშიც ოლიმპიელებიდან არ მონაწილეობდნენ მხოლოდ თამაშების ჩემპიონი 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში კუპერი (იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლობს), გოულდი და უიტფილდი. მაგრამ ამას ბრძოლის დაძაბულობა არ შეუნელებია. ქვეყნის ნაკრების წევრები და კანდიდატები ახლა მარტო ავსტრალიის ჩემპიონობისთვის კი არა, მსოფლიო პირველობისთვისაც ემზადებიან, რის გამოც ყოველ ტურნირსა და შედეგს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

მონდომებას სათანადო შედეგებიც მოჰყვა: 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში ქალთა შორის რეკორდი დაამყარა ნიილმა — 2.21,6. ეს შედეგი ამერიკელი დენიელის შარშანდელ მსოფლიო რეკორდს 3,2 წამით ჩამორჩება. ვარაუდობენ, რომ საზაფხულო სეზონის მიწურულს ნიილიც მსოფლიო რეკორდსმენი იქნება.

სიდნეის შეჯიბრების მონაწილეებმა რამდენიმე სხვა კარგ შედეგსაც მიაღწიეს. ვაჟთა შორის 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უინდიტის მაჩვენებელი (4.02,9) ამერიკელი მაკ-ბრინის ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს 0,6 წამით ჩამოუვარდება. II ადგილზე გასულ უაიტს უინდიტმა 5,4 წამით აჯობა. 100 და 200 მეტრზე ამავე სტილით ცურვა უენდენმა მოიგო — 54,4 და 1.56,6. ამ დისტანციებზე II ადგილები როჯერსსა (54,7) და უაიტს (1.56,8) ხვდათ.

ქალთა შეჯიბრებიდან აღსანიშნავია შემდეგი შედეგები: 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში პალმერმა 1.00,4 და 2.06,5 აჩვენა, 400 და 800 მეტრზე ამავე სტილით ასპარეზობაში მორასმა — 4.33,7 და 9.06,9.

## მსოფლიო პირველობისთვის მზადების პერიოდში

იმ ქვეყნებში, სადაც საწყლოსნო სახეობები კარგადაა განვითარებული, დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიოს I ჩემპიონატი ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში (1973 წ. ბელგრადი). განსაკუთრებით ინტენსიურად ემზადება აშშ-ს ცურვის ასოციაცია. მან უკვე შეიმუშავა და დაამტკიცა გუნდების მზადების პროგრამა, რომლის მიხედვით ნაკრების კონკურენციის კანდიდატთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

დამუშავდა შეჯიბრებათა გრაფიკიც. თავად ამერიკელები ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ კანადისა და ჰოლანდიის მოცურავეებთან მატჩს (ამსტერდამი, 8-9 მაისი), სსრ კავშირში ტურნესა და ბელგრადში მსოფლიო პირველობამდე ბაზების დასაზვერად გამართულ შეჯიბრებებს.

მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება დასავლეთ გერმანიაშიც გაიშალა. მიუნხენში ხელი მოაწერეს ამ ქვეყნისა და საფრანგეთის ცურვის ფედერაციების შეთანხმებას ერთობლივი ვარჯიშის შესახებ. გერმანელი მოცურავეები ფრანგებთან ერთად მაისის დამლევსა და ივნისის დამდეგს ფონ რემონს (საფრანგეთი) მაღალმთიან ბაზაზე ივარჯიშებენ, შემდეგ კი ივლისში ორივე ქვეყნის სპორტსმენებისთვის მოეწყობა ოცდღიანი საწვრთნელი შეკრება მიუნხენის ოლიმპიურ აუზზე.



## რეკორდი ჰერქვეშ

დორტმუნდი, 18 დეკემბერი. ევროპის მძლეოსნებმა ეს-ესაა დაიწყეს „სეზონი ჰერქვეშ" — 1972-73 წლების ზამთრის სეზონი, რომლის კულმინაციაც კონტინენტის პირველობა იქნება (როტერდამი, 10-11 მარტი). მაგრამ უკვე მეორედ განახლდა მსოფლიო მიღწევა: გფრ-ის ამ ქალაქის დარბაზში 1500 მეტრზე რბენაში მიუნჰენის ოლიმპიადის უილბლო მონაწილემ კრისტა მერტენმა (გფრ) 1000 მ 2 წუთსა და 44,9 წამში გაირბინა. ეს წამით სჯობს უწინდელ რეკორდს, რომელიც ამა წლის თებერვალში დაამყარა პენი ვერტნერმა (აშშ). საუკეთესო ევროპული შედეგი კი აქამდე ინგლისელ მარგარეტ ბიჩემს ეკუთვნოდა: 1970 წელს მან 2.46,5 აჩვენა.

## საჩუქრად... ორი ხბო

საპოროს ზამთრის ოლიმპიური თამაშების ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, აგრეთვე, წლევანდელი სეზონის მსოფლიო ჩემპიონი ციგურებით სწრაფრბენაში, ჰოლანდიელი ატიე კეილენ-დეელსტრა ამას წინათ დაბადების 33 წლისთავს ზეიმობდა. ეს არაოფიციალური წვეულება, რა თქმა უნდა, განკუთვნილი იყო მხოლოდ უახლოესი მეგობრებისა და ნათესავებისთვის, მაგრამ სრულიად მოულოდნელად კეილენ-დეელსტრას ეწვია უცნობთა პატარა დელეგაცია ქალაქ ირნსუმიდან (ეს ის ქალაქია, სადაც ატიემ მოიხვეჭა პირველი მედალი თავისი სპორტული კარიერის გარიჟრაჟზე) და იუბილარს საჩუქრად მიუძღვნა... საზეიმო ვითარებით შეცბუნებული ორი ულამაზესი ხბო.

„ამიერიდან ჩემს ბავშვებს, რა თქმა უნდა, ეყოლებათ საინტერესო და საქმიანი გართობის ობიექტი", — სიცილით თქვა ჰოლანდიის ყველაზე პოპულარულმა სპორტსმენმა.

# ახალი ნორმატივები

ევროპის მძლეოსანთა მორიგი ჩემპიონატი დარბაზში გაისად, 10-11 მარტს გაიმართება ჰოლანდიის ქალაქ როტერდამში. როგორც წინა ამგვარი შეჯიბრებისთვის, ახლაც შედგა საკლასიფიკაციო ნორმატივების ცხრილი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ. იგი სავალდებულოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ამა თუ იმ სახეობაში ორი და მეტი მონაწილის გამოყვანას აპირებენ. ნორმატივები ნაჩვენები უნდა იქნეს 1973 წლის 28 თებერვლამდე.

| სახეობა | ვაჟები | ქალები |
| --- | --- | --- |
| რბენა 60 იარდი | 6,3 | 6,9 |
| 50 მ | 5,8 | 6,3 |
| 60 მ | 6,8 | 7,5 |
| 400 მ | 48,2 | 55,5 |
| 800 მ | 1.51,0 | 2.09,0 |
| 1500 მ | 3.47,0 | 4.23,0 |
| თარჯრბენი 50 მ | 6,7 | 7,2 |
| 60 იარდი | 7,3 | 7,9 |
| 60 მ | 7,9 | 8,5 |
| ხტომა სიმაღლეზე | 214 | 172 |
| სიგრძეზე | 770 | 630 |
| ჭოკით | 505 | — |
| სამხტომი | 16 მ | — |
| ბირთვის კვრა | 18,50 | 16 მ |



# 30 ტონა ნაგავი!

ასე გამოიყურებოდა ლონდონის „უემბლის" სტადიონი „როკ ენ როლის" ფესტივალის შემდეგ, რომელიც ათ საათს გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე ეშხში შესულმა, თავდავიწყებულმა მოცეკვავეებმა და მაყურებლებმა შეძლეს სტადიონის უველა ობიექტის დანაგვიანება კონსერვის ცარიელი ქილებით, ბოთლებით, ქაღალდის ნახევებით... მერე სტადიონს თითქმის ორ საათს წმენდდა და აწესრიგებდა 100 კაცი.

„ასეთი უწესრიგობა ამ 37 წლის მანძილზე არ მინახავს, — განაცხადა „უემბლის" სტადიონის გამგემ პერსი იანგმა. — ვისაც იმდღევანდელი „უემბლი" არ უნახავს, ვეჭვობ, რომ ნაამბობი დაიჯეროს. ეს იყო გაცილებით უფრო საშინელი სანახაობა, ვიდრე ინგლისის თასის გათამაშების ნებისმიერი ფინალური შეხვედრის შემდეგ არის ხოლმე. სიზუსტისთვის ნაგავი ავწონეთ და 30 ტონამდე მიაღწია".

აღვნიშნავთ, რომ ფესტივალს მხოლოდ 50 ათასი მაყურებელი ესწრებოდა, მაშინ, როცა ფეხბურთში ფინალური მატჩის დროს სტადიონის 100-ათასიანი ტრიბუნები თითქმის მუდამ სავსეა.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: ინდექსი 380008, თბილისი 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი—93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.